

# მწვანე ინვესტიციები შენობებში (GRIB) - საქართველო

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 51145

ბიზნეს სექტორი: ინფრა ევრაზია

შეტყობინების ტიპი: სახელმწიფო

გარემოსდაცვითი კატეგორია: B

მიზნობრივი დამტკიცების თარიღი: 2022 წლის 9 მარტი

სტატუსი: ხელმოწერილი

PSD გამოქვეყნდა: 2020 წლის 2 აპრილი

## პროექტის აღწერა

საქართველოსთვის გაცემული სესხის თანხა მოხმარდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 200-მდე საზოგადოებრივი შენობის (ძირითადად სკოლების) ენერგოეფექტურობის (EE) გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის (EU NIP) მიერ 10 მილიონ ევრომდე საინვესტიციო გრანტით.

## პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს საზოგადოებრივ შენობების ენერგოეფექტური (EE) რეაბილიტაციით, ამ სექტორში ადგილობრივი სამშენებლო კომპანიების შესაძლებლობების გაზრდით და მწვანე ტექნოლოგიების ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის ხელშეწყობით.

## გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 68

პროექტს ექნება შემდეგი გარდაქმნის ეფექტი:

**მწვანე ეკონომიკა** - პროექტი იქნება 100%-ით GET, ვინაიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსება მიმართული იქნება ძირითადად ენერგოეფექტურობის ან განახლებადი ენერგიის ინვესტიციებზე.

**კარგად მართული** - პროექტი შეიმუშავებს პოლიტიკის რეკომენდაციებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის და/ან წვლილს შეიტანს პოლიტიკის არსებული დიალოგის აქტივობებში. პროექტი დაეხმარება სახელმწიფოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში ენერგოეფექტური (EE) ასპექტების დანერგვაში.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველო

მსესხებელი არის საქართველო, წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ. პროექტი უნდა განხორციელდეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF ან ფონდი) მიერ.

## ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსება

40,000,000.00 ევრო

40 მილიონი ევრო სახელმწიფო სესხი საქართველოსთვის.

## პროექტის მთლიანი ღირებულება

50,000,000.00 ევრო

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მინიჭებული აქვს კატეგორია B (2014 ESP). გარემოსდაცვითი და სოციალური წინასწარი ფინანსურ-ტექნიკური კვლევა ("ESDD") შედგება დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ განხორციელებული აუდიტისგან. ESDD-ის დასკვნის მიხედვით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს გააჩნია გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის გარკვეული ელემენტები და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. პროექტი მოიცავს ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებას საზოგადოებრივ შენობებში (ძირითადად არსებულ სკოლებში). პროექტის შენობების რეაბილიტაცია მოიცავს სხვადასხვა ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ზომებს და შეიძლება ნაწილობრივ მოიცავდეს დამხმარე სამუშაოებს შენობების სტრუქტურული მთლიანობის გასაუმჯობესებლად და სიცოცხლის გასახანგძლივებლად (ნაწილობრივი ნგრევა და რეკონსტრუქცია). პროექტის ფარგლებში შეძენილი ყველა ცენტრალური გათბობის ქვები შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს ჰაერის ემისიებთან დაკავშირებით. მოსალოდნელია, რომ პროექტი გამოიწვევს 13,333 ტონის CO<sub>2</sub>-ის შემცირებას წელიწადში და 253,631 გიგაჯოული ენერგიის დაზოგვას წელიწადში.

ფონდს აქვს კარგი ორგანიზაციული შესაძლებლობები გარემოსდაცვით და სოციალურ მართვასთან დაკავშირებით. მუნიციპალურ ფონდს არ გააჩნია გარემოსდაცვითი და სოციალური ("E&S") პოლიტიკა და არც გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალური მართვის სისტემა; თუმცა, MDF აყალიბებს შესაბამის E&S პროცესს თითოეული პროექტისათვის. საერთო ჯამში, ფონდში ამჟამად შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემებისა და პროცესების საკმაოდ კარგი დონეა. თითოეული შენობისთვის ან შენობების ჯგუფისათვის, დიზაინის კონსულტანტის მიერ MDF-ის მიერ დასამტკიცებლად მომზადდება კონკრეტული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა. ის შევა სატენდერო დოკუმენტაციაში და სავალდებულო იქნება სამშენებლო

სამუშაოების კონტრაქტორებისათვის. ფონდის თანამშრომლებს შეუძლიათ შექმნან და შეუერთდნენ პროფკავშირებს. ოფიციალური შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს შრომის კოდექსის ფარგლებში. ფონდის თანამშრომლებისთვის ამჟამად არ არსებობს საჩივრების მექანიზმი. ESAP მოითხოვს, რომ (i) შემუშავდეს პროექტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (მათ შორის, საჩივრების მექანიზმი), რადგან არ არსებობს ოფიციალური კორპორატიული პოლიტიკა; (ii) შემუშავდეს გენდერული სამოქმედო გეგმა, რომელიც ფოკუსირებული იქნება EE-ში ქალების დასაქმების ხელშეწყობაზე და გენდერული საკითხების მოგვარებაზე საზოგადოებრივ შენობებში EE-ის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით; (iii) სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდება აზზესტის კვლევა შემოთავაზებულ სამშენებლო უბნებზე; და (iv) დიზაინის კონსულტანტი წარუდგენს MDF-ს სახანძრო უსაფრთხოების ანგარიშს პროექტზე გამოსაყენებელი თბოიზოლაციის მასალის შესახებ, რომელიც ადასტურებს მის ხანძარსაწინააღმდეგო კლასიფიკაციას ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს სკოლის დროებით გადასვლა რეკონსტრუქციის დასრულებამდე. იმ სკოლების შემთხვევაში, რომლებიც საჭიროებენ მნიშვნელოვან სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გაფართოების ჩათვლით, შესაძლოა საჭირო გახდეს მიწის შეძენა. ამ შემთხვევაში, ფონდი მოამზადებს მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმას. იმ შენობებისათვის, რომლებიც შედის ეროვნული კანონმდებლობით დაცული შენობების სიაში, დიზაინის კონსულტანტი შეაჯერებს შერჩეულ საჯარო შენობების სიას საქართველოს დაცული შენობების ნუსხასთან და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს აუცილებელ ნებართვას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან. შემუშავების ეტაპზეა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა ("SEP"), რომელიც მოიცავს შენობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას. MDF ახორციელებს ადრე დამკვიდრებულ საჩივრების განხილვის მექანიზმს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ESAP შეთანხმებულია MDF-თან. ბანკი მონიტორინგს გაუწევს პროექტს ფონდის მიერ მოწოდებული ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების მეშვეობით და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ვიზიტების მეშვეობით.

## ტექნიკური თანამშრომლობა

შემდეგი ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებები გათვალისწინებულია ამ პროექტის ფარგლებში:

- სკოპინგის კვლევა - 79,985 ევრო, დაფინანსებული ERBD აქციონერთა სპეციალური ფონდის ("SSF") მიერ (დასრულებულია).
- ESDD - 58,975, დაფინანსებული SSF-ის მიერ (დასრულებულია).

- პროექტის განხორციელების მხარდაჭერა 1,000,000 ევრომდე, რომელიც სავარაუდოდ დაფინანსდება საერთაშორისო დონორის ან SSF-ის მიერ.
- დიზაინის და ზედამხედველობის სერვისები - 4,800,000 ევრომდე, შემოთავაზებულია დაფინანსება ევროკავშირის NIP და EBRD სესხის სახსრებით.

## დამატებითი ფასეულობა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გთავაზობთ ისეთ დაფინანსებას, რომელიც ბაზარზე არ არის ხელმისაწვდომი კომერციული წყაროებიდან, გონივრული ვადებით და პირობებით. უფრო მეტიც, EBRD-ის სექტორში გამოცდილება და ცოდნა ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული სტანდარტების გამოყენებას.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

დავით ტაბიძე

mdf@mdf.org.ge

995 32 2437001

995 32 2437077

mdf.ge

საქართველო, თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული.

## შუალედური შედეგის შესახებ

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#)-ს:

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების

გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე [compliance@ebrd.com](mailto:compliance@ebrd.com). თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კუთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

## პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.